საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/43

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილების, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/05, 16.09.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილებაშიი, კერძოდ, **გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესში (დანართი 1)** შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) 14.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14.1. **„ა“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორს - 300 საათი;

ბ) ასოცირებულს პროფესორს - 350 საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორს - 365 საათი;

დ) ასისტენტს - 385 საათი;

ე) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელს განესაზღვრება 30 საათით ნაკლები სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა.“;

ბ) 14.3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14.3. **„გ“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა** - შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებასთან ერთად სავალდებულო წლიური პედაგოგიური დატვირთვა -განესაზღვრება ბსუ-სთან არააფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორს - 150 საათი;

ბ) ასოცირებულს პროფესორის- 175 საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორს 183 საათი;

დ) ასისტენტს 193 საათი.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება გავრცელდეს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის 2022-2023 სასწავლო წლის შრომით დატვირთვაზე.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული წესი და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამის ველებში.

5. გადაწყვეტილება უნდა დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**